

ဝေဖန်ချက်
NONFICTION

ဂျပန် ကျမ်းဂန်

အထွေထွေ သိပ္ပံနည်း
နှင့် နည်းပညာ

იასონ ბადრიძე
ამბავი მბლნსა ღა კაცისა

რუსულიდან თარგმნა შალვა ლეჟავამ

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2023
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-831-9

www.diogene.ge

ჩემს შვილიშვილებს
ელი ბადრიძე ჯეკს
ანა ბადრიძე ჯეკს
იუენ ბადრიძე ჯეკს
ალექსანდრე და ლუკა ბადრიძეებს
ვუძღვნი ამ წიგნს

იასონ ბადრიძე

პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი. ადამიანი, რომელიც ორი წელი მგლების ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ოცდაათი წლის განმავლობაში შეისწავლიდა მგლების ცხოვრებას ბუნებრივ გარემოში. შეიმუშავა მგლების რეინტროდუქციის – გამოზრდისა და ბუნებაში დაბრუნების – მეთოდოლოგია. თავად გამოზარდა და ბუნებრივი, თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობა მისცა ოცდაორ მგელს.



იასონ ბადრიძე ლაგოდეხის რაიონში, თავის გამოზრდილ მგელთან, გრეისთან ერთად, რომელმაც გაშვებიდან ერთ კვირაში მეგობარს მიაკითხა (1991-92 წწ., გ. დარჩიაშვილის ფოტო).

სარჩევი

ნინასიტყვაობის ნაცვლად	11
ყველაფერი დაიწყო ყმუილით	15
ნაცნობობა	21
ნესტორის ოჯახი.....	27
ვნადირობთ	31
საწყობებისა და მესხიერების შესახებ	47
მგლის ლეკვების ცხოვრება ბუნაგში: რა, როგორ, რატომ?	70
მგლის ლეკვების ცხოვრება ბუნებაში: რა, როგორ, რატომ?.....	80
მტაცებლური ინსტინქტის პარადოქსი და მომავალ მონადირეთა სრულყოფის გზები	91
აზროვნების უნარის შესახებ.....	106
მგლები – ბოროტები თუ კეთილისმყოფლები?	120
მეზობლური ურთიერთობანი.....	126
Homo sapiens – ადამიანი გონიერი?.....	136

წინასიტყვაობის ნაცვლად

ამ წიგნში ვეცდები, გაგაცნოთ მგელი – მხეცი, რომელიც აღტაცებას იწვევს და იმავდროულად სძულთ. რა ადგილი უკავია ბუნებაში? როგორ გარდაიქმნება ახალშობილი უსუსური ლეკვი შეუდარებელ მონადირედ? რატომ გახდა სინანთროპი, ანუ შინაური პირუტყვის მტაცებელი და რა წვლილი მიუძღვის ადამიანს მის ამგვარ გარდასახვაში? ვეცდები, ავხსნა, როგორ უყალიბდება მგელს გონივრული მოქმედების უნარი.

წიგნზე მუშაობისას თითქოს ჩემს წარსულ ცხოვრებას დავუბრუნდი, კვლავ განვიცადავ სევდაც და სიხარულიც, გავიხსენე ჩემი ველური მეგობრები, რომლებთან ერთადაც ჩემი ცხოვრების უმშვენიერესი ხანა გავატარე. მოგონებებმა ომარ ხაიამის რობაია გამახსენა:

მთვრალმა ბულბულმა გზა გაიგნო ბალისკენ ღამით,
ჰპოვა ვარდი და ლალის ღვინით მღიმარი ჯამი,
ჩემად მოიქცა და მითხრა, რომ წარსულ დღეთაგან
კვლავ უკან აღარ დაბრუნდება არც ერთი წამი¹.

¹ ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანი.

მიუხედავად იმისა, რომ აქ მგლების მხოლოდ ერთ ოჯახზე გიამბობთ, ყველა დასკვნა ჩემთან ურთიერთობას შეგუებული გარეული მგლების კიდევ ექვს ოჯახს, ასზე მეტ მოთვინიერებულ და სამასამდე გარეულ, მარტოხელა მგელზე ჩატარებულ მრავალრიცხოვან კვლევას ეფუძნება. კვლევები ტარდებოდა ჩემს გამოზრდილ და შემდეგ ველურ ბუნებაში გაშვებული (რეინტროდუცირებულ) მგლების ოთხ ოჯახზეც.

შეიძლება, გაგიჩნდეთ კითხვა, რატომ გიამბობთ მგლების მხოლოდ ერთი ოჯახის შესახებ? გიპასუხებთ, რომ მათ განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ჩემს ცხოვრებაში.

1. ისინი იყვნენ პირველები, ვისთანაც მომიწია ცხოვრება.
2. მათ მიიღეს ოჯახის წევრად ადამიანი, რომელმაც არაფერი იცოდა მგლების ინტელექტზე.
3. პირველად ვნახე ცხოველებში ისეთი ურთიერთდამოკიდებულება, რომელსაც ადამიანი – „ბუნების გვირგვინი“ – მხოლოდ საკუთარ მიღწევად მიიჩნევს (გთხოვთ, ეს განცხადება ანთროპომორფიზმი² არ ჩამითვალეთ).
4. მათ უნდა ვუმადლოდე, რომ არა მხოლოდ სიკვდილს, არამედ ხეიბრობასაც გადავურჩი.
5. დაბოლოს, ისინი იყვნენ ჩემი პირველი მასწავლებლები ეთოლოგიაში.

² ანთროპომორფიზმი (ძვ. ბერძ. ἄνθρωπος, ადამიანი + μορφή, ფორმა) – ადამიანისათვის სახასიათო ფსიქიკური თვისებების გადატანა ბუნებრივ მოვლენებზე (ცხოველებზე, საგნებზე).

მოგვწონს თუ არა ცხოველის გარეგნობა, ჩვენს გემოვნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ დროა შევიგნოთ, რომ მიუხედავად ჩვენი განწყობისა კონკრეტული ცხოველის მიმართ, ყოველი მათგანი შეუცვლელია და იდეალურად აღასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც მას უზენაესმა გონმა – ბუნებამ განუსაზღვრა.

იასონ ბადრიძე

ყველაფერი დაიწყო ყვრილით

საკმაოდ სუსტი ბავშვი ვიყავი, ამიტომ ექიმებმა მშობლებს ურჩიეს, ბორჯომის ხეობაში წავეყვანეთ. ასეც მოიქცნენ. 1948 წლის ნოემბერში სოფელ ტაშისკარში ჩავედი. საოცრად გაგვიმართლა, რომ გიორგი და ტასო ლომსაძეების ოჯახში მოვხვდით. ამ გულისხმიერ ადამიანებთან მრავალი წლის განმავლობაში მკვიდრი ნათესაური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

ტყის განაპირას ვცხოვრობდით, იქიდან კი დროგამოშვებით უცნაური ხმები ისმოდა, რალაც ძროხის ზმულის მსგავსი... მოკლედ, ოთხი წლის ასაკში მსგავსი რამ პირველად გავიგონე და იმწამსვე გავამართლე ჩემი მეტსახელი – „რატომელა“.

ამიხსნეს, რომ ასე ხარირემი ბლავის მყვირალობისას, როდესაც შეყვარებულია, რათა გაზაფხულზე ნუკრები გაჩნდნენ. ცოტა არ იყოს დავიბენი. რატომ უნდა იბლავლო შემოდგომაზე, თუ ნუკრებს გაზაფხულზე პოულობენ... ნეტავ ადამიანებიც ასე ყვრიან, ვიდრე კომბოსტოში ბავშვებს არ მიაგნებენ? ჰო, მაგრამ ტყეში კომბოსტოს რა უნდა? აჰა, მივხვდი, ნუკრებს ბუჩქნარში პოულობენ.

დღემდე მახსოვს გიორგისა და ტასოს გულიანი სიცილი. სიტუაცია შემდგომი დრამატიზირებისგან მამაჩემმა განმუხტა. დამპირდა, რომ ტყეში წამიყვანდა, თანაც ღამისთევით.

მამამ მეზობლებში ორი ნაბადი იშოვა, გიორგის გამოართვა ომისდროინდელი ზურგჩანთა, ჩავალაგეთ თბილი ტანსაცმელი, საგზალი და ორი დღის შემდეგ, გამთენიისას, გავეუდექით გზას ტაშისკარის მთაწმინდისაკენ.

ეს ჩემი პირველი ლაშქრობა იყო. როდესაც მიზანს მივადნით, მამამ სახელდახელო კარავი ააგო და მასში მოვთავსდით იმ იმედით, რომ არა მხოლოდ მოვისმენდით ირმის ბლავილს, არამედ დავინახავდით კიდეც მას. ნურას უკაცრავად. მართალია, ბლავილი ყოველი მხრიდან გვესმოდა, მაგრამ ირმები არ ჩანდნენ. მომბეზრდა, როგორია, მთელი დღე ხმისამოულებლად, გაუნძრევლად იჯდე, იქვე ახლოდან გესმოდეს ირმის ხმა და ვერაფერს ხედავდე.

უკვე ბინდებოდა, როდესაც მოულოდნელად მგლის ყმუილი მოგვესმა. იმწამსვე ვიცანი. ვიცანი, რადგან მამა ხშირად მიყვებოდა მგლებზე და ხმითაც ბაძავდა. მაგრამ ამ ყმუილმა, ჩემგან სულ ახლოს მყოფი, ცოცხალი მგლის ხმამ, განუმეორებელი, მომწუნსხველი შთაბეჭდილება დამიტოვა. არ შემშინებია, რადგან უკვე ვიცოდი, რომ ზღაპრები ხარბი, გაუმადლარი, სისხლისმსმელი მგლის შესახებ მხოლოდ ზღაპრები იყო.

მაშინ არც მამას და მით უმეტეს, არც მე, ვერც კი წარმოგვედგინა, როგორ ზეგავლენას მოახდენდა ტყეში გატარებული ის ღამე და მგლის ყმუილი მთელ ჩემს ცხოვრებაზე...

გავიდა წლები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. მეორე კურსიდან ვმუშაობდი მსოფლიო დონის მეცნიერის, ივანე ბერიტაშვილის მიერ დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ადამიანისა

და ცხოველთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც ქცევის ფიზიოლოგიურ მექანიზმებს ვიკვლევდი.

დროთა განმავლობაში სულ უფრო ხშირად მანუხებდა იმაზე ფიქრი, რომ ვცდილობდი, შემესწავლა იმ მოვლენის მექანიზმი, რომელიც ჩემთვის უცნობი იყო. ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა, მართალი ვიყავი თუ არა. მთავარი იყო, რომ მაშინ გადავწყვიტე, უშუალოდ ცხოველებზე მენარმოებინა კვლევა. ერთადერთი, ის უნდა გამერკვია, რომელი ცხოველი შემერჩია შემდგომი დაკვირვებებისათვის.

სწორედ ამ დროს გაიღვიძა ბავშვობაში განცდილმა და მრავალი წლის განმავლობაში არაცნობიერში დაბუდებულმა მგლის ხატებამ. სიმართლე ითქვას, ერთი ხანობა ვყოყმანობდი (ან საკუთარ თავს ვეთამაშებოდი); კარგად მესმოდა, რა სათუო იყო, მიმელო ინსტიტუტის თანხმობა, მით უმეტეს, ბატონი ივანე ბერიტაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მემუშავა მტაცებელ ცხოველებზე. მიუხედავად ამისა და საკუთარ თავთან მოჩვენებითი პაექრობა-ორჭოფობისა, გადანწყვეტილება სინამდვილეში მყისიერად მივიღე – მგელი.

პირველი, ვისაც ჩემი იდეა გავუზიარე, რა თქმა უნდა, მამა იყო. ის დიდხანს ისმენდა ჩემს მოსაზრებებს, ბოლოს კი მითხრა: „წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევ, თუ ყველაფერს გაიგებ მგლებისა და იმ ცხოველების შესახებ, რომლებითაც იკვებებიან, თანაც თუ უშუალოდ იმ ბუნებრივ გარემოში აწარმოებ კვლევებს, სადაც ისინი ბინადრობენ“. გარდა ამისა, ნათელმხილველივით დაწვრილებით აღმიწერა ყველა სირთულე, რომლებსაც ჩემი საქმიანობისას გადავანყდებოდი.

იმ დროს საბჭოთა კავშირში მგელს „სოციალისტური მესაქონლეობისა“ და ზოგადად ცოცხალი ბუნების მთავარ მტრად მიიჩნევდნენ. ცხოველთა სამყარო ორ, ზიანის მომტან და სა-

სარგებლო, ჯგუფად იყოფოდა. ადამიანები ორივეს ვხოცავდით, ერთს – საკუთარი საკვებისათვის, ხოლო მეორეს იმის გამო, რომ ამ საკვებში გვეცილებოდნენ. ადამიანთა საკვებად გამიზნული პირუტყვის „დასაცავად“ შეიქმნა პრემიის სისტემა – მტაცებელი ცხოველებისა და ფრინველების განადგურებისათვის ფულადი ჯილდო იყო დაწესებული და ნადირობის ლიცენზიასაც გასცემდნენ. როგორ აბსურდულადაც უნდა მოგვეჩვენოს, სწორედ ასე იყო – ანადგურებდნენ ერთ სახეობას, შემდეგ კი ამის საფუძველზე იძლეოდნენ ნებართვას სხვა სახეობების მოსასპობად.

საბჭოთა კავშირის დროინდელი ერთი ფილმი მისი სანიმუშო სიბრიყვისა და ყალბი რომანტიკულ-პატრიოტული პათოსის გამო დამამახსოვრდა. ერთ-ერთ სცენაში შეყვარებული წყვილი სადარაჯო კოშკიდან გაჰყურებს ტაიგას და ფილმის გმირი სივრცეს გაჰყვრებს: „ტაიგავ, აგაფეთქებთ და გაგცლით ნადირისაგან“.

სამწუხაროდ, დღემდე მოქმედებს იმ დროს ადამიანთა გონებაში საბჭოთა პროპაგანდით ჩაბეჭდილი ეს არანორმალური იდეა. დღესაც დაუნდობლად ვაფეთქებთ ბუნებას და ვჟლეტთ ისედაც გადაშენების პირას მყოფ ცხოველებს.

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური შტამებისგანაც საკმაოდ თავისუფალი, ვთვლიდი, რომ ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევა შემეძლო. ახლა რომ ვიხსენებ, რამდენი რამ შევიტყვე, ვნახე და განვიცადე მგლებთან ერთად ცხოვრებისას, თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ. წინააღმდეგობები ულევო იყო, რომელთაგან ურთულესს ადამიანები ქმნიდნენ. საბედნიეროდ, იყვნენ ისინიც, ვინც მიზნის მიღწევაში დამეხმარა, ვინც ბევრი რამ მასწავლა, მადლობა მათ.

სიყმაწვილისას ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამბავმა, როდესაც გავიგე, რომ თურქულად საქართველოს გორგისტანს – მგლების ქვეყანას უწოდებდნენ, ეს ჩემს აღტაცებას ინ-

ვევდა. შემდეგ ეს სიტყვა გურჯისტანად შეიცვალა და აქედან გაჩნდა საქართველოს რუსული სახელწოდება „გრუზია“.

საქართველოს ყველა კუთხეში მგელი ტოტემური ცხოველი იყო. ხევსურეთში ვაჟებს ხშირად სახელად მგელიკას არქმევდნენ. მგლების შეუპოვარი ბრძოლისუნარიანობის შესახებ რომ იცოდნენ, ხშირად ვაჟკაცებს – კაი ყმებს – მგელს ადარებდნენ:

სამი არ გაიწურთვნება:
მგელი, არწივი, კაი-ყმა,
მგელი არ მაშლის მგლობასა
კაი-ყმა მამაცობასა,
არწივი არწივობასა,
მთის ყურეთ თამაშობასა...

ასე რომ, გადავწყვიტე, მგლებს დავკვირვებოდი. ცოდნით ჯერ არაფერი ვიცოდი. უპირველესად მგლებზე არსებული ლიტერატურის შესწავლას შევუდექი. ჩემდა გასაოცრად, ნიგნების უმრავლესობაში ძირითადად მათი განადგურების საშუალებები იყო აღწერილი. ერთადერთი, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო, კვალის ძებნის მეთოდოლოგია იყო. იმდენი ვიკითხე ამის შესახებ, რომ ბოლოს მესიზმრებოდა კიდეც; ასე რომ, პირველი საველე დაკვირვებები სიზმრად ჩავატარე. ხუმრობა იქით იყოს და ჩემი კვლევები მხოლოდ ამგვარი თეორიული ცოდნის იმედად დავიწყე.

ვიცოდი, რომ ლეონარდო და ვინჩიმ პირველმა აღნიშნა ცხოველთა და მათი საბინადრო გარემოს მჭიდრო ურთიერთკავშირი. ამიტომაც გააზრებული მქონდა, რომ მგლის ქცევა არ შეიძლება იმ ურთიერთკავშირის გაუთვალისწინებლად შემესწავლა, რომელიც მგელსა და მის გარემომცველ სამყაროს შორის არსებობს.

თავს უფლებას მივცემ, რაბინდრანათ თაგორის მიერ კაცობრიობის შესახებ გამოთქმული მოსაზრების პერიფრაზირება მოვახდინო, რომელიც მართებულია როგორც ცხოველთა, ისე მთელი ეკოსისტემის შემადგენელ ნაწილებს შორის ურთიერთკავშირების შედეგის განსასაზღვრავად: „ცხოველთა სამყარო ინდივიდებისგან შედგება, მაგრამ მათ შორის არსებული ურთიერთკავშირები ამ საზოგადოებას ერთიან ცოცხალ ორგანიზმად აყალიბებს“. დარწმუნებული ვიყავი, რომ მგელი ერთიანი ორგანიზმის მხოლოდ გარკვეული ნაწილია და მისი შესწავლა სწორედ ამ ორგანულ სისტემაში უნდა ხდებოდეს. ამისათვის, როგორც წარმომედგინა, მათ გვერდით, მათთან ერთ ოჯახად ცხოვრება იყო აუცილებელი. და აი ამ მცდელობის შედეგიც...